EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ივლისი - სექტემბერი 2022

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება მსგავსი სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე

2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში „სააგენტო“) არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

- სააგენტომ კომპანიის მიერ თავისი კონკურენტის იდენტური სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის გამოყენება არაკეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნია.
- გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტომ გაითვალისწინა, რომ მხარეები ოპერირებდნენ ერთსა და იმავე ბაზარზე და მსგავს მომსახურებას სთავაზობდნენ მომხმარებელთა ერთსა და იმავე სამიზნე ჯგუფს.
- სააგენტომ მიიჩნია, რომ კომპანიის ქმედება აზიანებდა მომხმარებელთა ინტერესებსაც. კერძოდ, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეკონტროლებინათ საკუთარი არჩევანი და კომპანიები ერთმანეთისგან გაემიჯნათ.
- სააგენტომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს სანქციის სახით დააკისრა ჯარიმა, რომლის ოდენობის განსაზღვრისას კომპანიის წლიურ ბრუნვასთან ერთად, მხედველობაში მიიღო მოკვლევის პროცესში მისი უარი სააგენტოსთან თანამშრომლობაზე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი](), 26/09/2022

ვირტუალური აქტივების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

2022 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში, რომლებიც მიზნად ისახავს ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვას.

- ვირტუალური აქტივი განიმარტება, როგორც ციფრული გამოხატულება, რომელიც ჩანაცვლებადია, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების მიზნით.

- ცვლილებებით ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციას, რეგისტრაციის გაუქმებასა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას.

- ვირტუალური აქტივის მომსახურება მოიცავს, მათ შორის, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცვლას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში. ხოლო ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი არის პირი, რომელიც აღნიშნულ მომსახურებას სხვა პირის სასარგებლოდ ახორციელებს.

- რეგულირებას არ ექვემდებარება ისეთი ვირტუალური აქტივები, რომელთა გადაცემა ან გადაცვლა შეუძლებელია და არ გამოიყენება გადახდის ან/და ინვესტირების მიზნებისთვის.

- ვირტუალური აქტივის მომსახურება გამორიცხავს საკუთარი თავის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივით განხორციელებულ ტრანსაქციებსა და ე.წ. „მაინინგს“.

- ცვლილებების მიხედვით, აკრძალულია ვირტუალური აქტივით გადახდა თუმცა, ეროვნულ ბანკს ენიჭება გამონაკლისი შემთხვევების განსაზღვრის უფლებამოსილება.

- ცვლილებები 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022.

ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული ცვლილებები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობაში

ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების ფარგლებში, 2022 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში.

- ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი გახდა ანგარიშვალდებული პირი, რომელზეც ვრცელდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით.

- ცვლილებების მიხედვით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია, განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები ვირტუალური აქტივის მომსახურებასთან დაკავშირებული ერთჯერადი გარიგების დადებისას, თუ გარიგების თანხა აღემატება 1,000 აშშ დოლარს, 1,000 ევროს ან 3,000 ლარს.

- ანგარიშვალდებული პირი ვალდებული ხდება, მიიღოს გონივრული ზომები კლიენტის ქონების, ფულადი სახსრებისა და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის წარმომავლობის დასადგენად.

- ცვლილებები ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს ავალდებულებს, უზრუნველყოს რეგისტრაციამდე არსებული კლიენტების მიმართ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების გატარება არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა.

- ცვლილებები 2023 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022.

ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული ცვლილებები კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საბროკერო კომპანიების მარეგულირებელ კანონმდებლობაში

ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში, 2022 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები, რომლებიც ეხება კომერციული ბანკების საქმიანობის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონებს.

- ცვლილებებით კომერციული ბანკისათვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის და საბროკერო კომპანიისთვის ნებადართულ საქმიანობას დაემატა სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა.

- განისაზღვრა ნებადართული ვირტუალური აქტივის მომსახურების სახეებიც. კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა, გადაცემა ან/და შენახვა და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა.

- ცვლილებები 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022;
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022;
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022.

ცვლილებები კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში

2022 წლის 9 სექტემბერს მიღებულ იქნა ცვლილებები კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში.

- ცვლილებებით განისაზღვრა დამატებითი კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები კომერციული ბანკის ადმინისტრატორებისთვისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისთვის.

- ცვლილებები შევიდა კომერციული ბანკის ლიცენზიის მოპოვების პროცედურაში. კერძოდ, სალიცენზიო განაცხადის შეფასების ვადა 3 თვიდან 6 თვემდე გაიზარდა და დაწესდა განხილვის მაქსიმალური - 12 თვიანი ვადა.

- შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე თანხმობის გაცემის პროცედურა და შეფასების ვადა 1 თვიდან 60 სამუშაო დღემდე გაიზარდა.

- კომერციული ბანკის მომავალი აქციონერი ვალდებული ხდება, ეროვნულ ბანკს წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, თუ ის მოიპოვებს მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს ბანკზე, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში თავისი წილის ოდენობისა.

- დაზუსტდა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მოვალეობების განმსაზღვრელი დებულებები და გაიწერა მათი შეუსრულებლობის შედეგები.

- ცვლილებები სრულად ძალაში შევა 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022.

ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის განსაზღვრის ინსტრუქცია

2022 წლის 28 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში.

- ცვლილებები განსაზღვრავს პრინციპებს, რომლითაც კომერციული ბანკები დაკავშირებული მსესხებლების ერთ ჯგუფად აღრიცხვისას იხელმძღვანელებენ.

- დამტკიცდა შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც კომერციულ ბანკებს დაეხმარება, გამოავლინონ განსხვავებულ მსესხებლებს შორის მატერიალური ნეგატიური გავლენის მქონე ურთიერთკავშირები.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28/09/2022.

ცვლილება კომერციული ბანკების მიერ სესხის გაცემის წესში

2022 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილება კომერციული ბანკების მიერ 200,000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესში.

- ცვლილება ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც, სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა დასაშვებია, თუ გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები გამსესხებლის მიმართ 200,000 ლარს გადააჭარბებს.
- ცვლილებით დაკონკრეტდა, რომ ჯამურ ვალდებულებებში არ გაითვალისწინება ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები.
- დასაშვები გახდა 200,000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემა უცხოური ვალუტით იმ შემთხვევაშიც, თუ სესხი/კრედიტი სრულად უზრუნველყოფილი იქნება იმავე უცხოური ვალუტის ფულადი სახსრებით.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19/07/2022.

შემცირდა სამომხმარებლო სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობა

2022 წლის 16 აგვისტოს ძალაში შევიდა ცვლილებები ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ დებულებაში.

- სამომხმარებლო სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობა 4-დან 3 წლამდე შემცირდა. აღნიშნული არ ეხება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხს, რომლის მაქსიმალური ვადაც 10 წელია.
- სესხის გამცემ ორგანიზაციას აეკრძალა სესხის გაცემა ან/და უზრუნველყოფის საშუალებების მიღება, თუ იპოთეკურ და 3 წელზე მეტი ვადიანობის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV) აღემატება ბრძანებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 05/08/2022.

ცვლილებები კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში

2022 წლის 25 აგვისტოს ძალაში შევიდა ცვლილებები კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში.

- ცვლილებებით 20%-დან 40%-მდე გაიზარდა კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წარმომადგენლების კვოტა.
- კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, კვოტირების მოთხოვნები ორ ეტაპად დააკმაყოფილონ, კერძოდ: არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა უზრუნველყონ განსხვავებული სქესის წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა 33%-მდე, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა - 40%-მდე.
- ცვლილებები ითვალისწინებს კომერციული ბანკების დირექტორატის დაკომპლექტების რეკომენდაციებსაც, რომელთა მიხედვითაც სასურველია, დირექტორატის წევრების 33% განსხვავებული სქესის წარმომადგენლები იყვნენ.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/08/2022.

ცვლილებები კომერციული ბანკის სპეციალური მმართველის დანიშვნის წესში

2022 წლის 11 ივლისს ძალაში შევიდა ცვლილებები რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკების სპეციალური მმართველის დანიშვნისა და საქმიანობის წესში.

- ცვლილებებით ეროვნული ბანკის თანამშრომლის სპეციალურ მმართველად დანიშვნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, თუ საფრთხე ექმნება რეზოლუციის მიზნების მიღწევას.
- განისაზღვრა დამატებითი პროფესიული უნარ-ჩვევები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც, რომლებსაც სპეციალური მმართველი უნდა აკმაყოფილებდეს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/07/2022.

ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში

2022 წლის 5 ივლისს ძალაში შევიდა ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში.

- ცვლილებებით ძალაში დარჩა აკრძალვა ფინანსურ ინსტიტუტებში სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ წილის ფლობის შესახებ, თუმცა, აღნიშნული აკრძალვა აღარ შეეხება საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ საინვესტიციო ფონდებში წილის ფლობას.
- ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია საინვესტიციო ფონდში პასიური წილობრივი მონაწილეობა, რაც გამორიცხავს საინვესტიციო ფონდის კაპიტალის მართვის უფლებას.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 05/07/2022.

ცვლილებები სახელმწიფოს წილობრივ მონაწილეობაზე საინვესტიციო ფონდებში

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის ცვლილებასთან ერთად, 2022 წლის 5 ივლისს ძალაში შევიდა ცვლილებები საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონში.

- ცვლილებების მიხედვით, საინვესტიციო ფონდებში სახელმწიფო ორგანოებსა ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს მონაწილეობა შეეძლებათ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობებით.
- წილის მფლობელ სახელმწიფო ორგანოებს ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს არ ექნებათ საინვესტიციო ფონდის პორტფელისა და რისკების მართვის, ასევე საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის უფლება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 05/07/2022.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

2022 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

- ცვლილებების მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა და შემოსავლების სამსახურის მიერ ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტებისაგან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის საკითხის მოწესრიგება.
- ცვლილებებით განისაზღვრა საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან გახსნილ საგადახდო ანგარიშთან დაკავშირებული მოთხოვნები.
- შემოსავლების სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას ან სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტებისგან გამოითხოვოს მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დაცული კონფიდენციალური ინფორმაცია.
- ზემოაღნიშნულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
- ცვლილებები ამოქმედდება 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/09/2022.

სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებული ცვლილებები

2022 წლის 29 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები დაქირავებულისათვის გადახდილ სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით.

- ქვეყნის ფარგლებში დაქირავებულის მივლინებისას სადღეღამისო ხარჯების ნორმა 15 ლარიდან 30 ლარამდე გაიზარდა.
- განისაზღვრა განსხვავებული სადღეღამისო ხარჯების ნორმები გრძელვადიანი და მოკლევადიანი მივლინებებისათვის.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29/09/2022.

მიკრო ბანკებთან დაკავშირებული ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

2022 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებებზე.

- კანონპროექტის მიზანია საგადასახადო კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ კანონპროექტთან.
- მიკრო ბანკების საქმიანობაზე გავრცელდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიმართ საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრის რეჟიმი, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.
- კანონპროექტით საგადასახადო კოდექსს ემატება „საბანკო დაწესებულების“ განმარტება.
- ცვლილებები შედის საბანკო დაწესებულებების/კომერციული ბანკების სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებულ ნორმებში, რომლებიც არეგულირებს, მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, მოგების გადასახადით დაბეგვრასა და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.
- კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 18/07/2022.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტატო ჩანტლაძე
პარტნიორი | საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: +995 (32) 215-88-11
Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2022 შპს „იუაი“
ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

http://www.ey.com/georgia